პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი Боевой страж

ბაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 6 მაისი 1989 წელი ● № 19 (8099) ● СУББОТА, 6 МАЯ 1989 г.

## ოფიციალური ინფორმაცია

● **თბილისში** 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბების ყველა მხარის დაწვრილებითი გამოკვლევის მიზნით, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია.

● **29 აპრილს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ლიგის ვიცე-პრეზიდენტს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარეს დ. დ. ბენედიქტოვს, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე სტუმარმა ილაპარაკა იმ ავადმყოფების მდგომარეობაზე, რომლებიც მკურნალობის კურსს გადიან რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებებში. ითქვა, რომ შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის წევრებს და იყო რესპუბლიკის პროკურატურაში. დ. დ. ბენედიქტოვი დაეთანხმა საქართველოს სსრ ხელმძღვანელობის თხოვნას და განაცხადა, რომ უახლოეს დროში თბილისში მოიწვევენ საერთაშორისო წითელი ჯვრის ავტორიტეტიან ექსპერტებს ქიმიური საშუალებების ზემოქმედებით დაზარალებულთა კონსულტაციებისათვის....

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. ა. მენაღარიშვილი.

1 მაისის, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის და დამდეგი გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა. გისურვებთ თქვენ და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ წარმატებებს თქვენს საპასუხისმგებლო საქმიანობაში სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

პატივისცემით სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი
**დ. იაზოვი.**

## ДИПЛОМЫ—ВЫПУСКНИКАМ

**ЗНАМЕНАТЕЛЬНОЕ** событие произошло на днях в жизни слушателей заочного отделения ТФМВШМ МВД СССР — им были вручены дипломы об окончании школы. В красочно украшенном актовом зале факультета состоялось торжественное собрание слушателей, профессорско - преподавательского состава факультета, на котором присутствовал начальник Московской высшей школы милиции МВД СССР генерал-майор В. Иванов.

С приветственным словом к выпускникам, ко всем собравшимся обратился заместитель министра внутренних дел республики полковник внутренней службы Э. Васильев. Затем заместитель начальника факультета по учебной и научной работе подполковник милиции Г. Месхи зачитал приказ, а начальник ТФМВШМ МВД СССР генерал - майор милиции Г. Кванталиани и заместитель начальника УК МВД ГССР подполковник внутренней службы А. Джаши вручили выпускникам дипломы и нагрудные знаки.

От имени выпускников выступила Н. Схарулидзе, которая поблагодарила за заботу и внимание профессорско - преподавательский состав, руководство МВД ГССР, заверила присутствующих в том, что молодые офицеры милиции достойно продолжат славные боевые и трудовые традиции старших поколений сотрудников ОВД республики,

**Г. КСОВРЕЛИ,**
майор милиции, начальник отдела профессиональной подготовки УК МВД ГССР.

## НАВЕЧНО В НАШЕЙ ПАМЯТИ



**ДОБРОЙ** традицией стало в органах внутренних дел республики проведения Дня памяти бойцов правопорядка. Отдавая дань глубокого уважения тем, кто не щадил своей жизни в борьбе с преступностью, кто до конца выполнил свой служебный и гражданский долг, в минувшие субботу и воскресенье тысячи сотрудников милиции республики посетили места захоронения своих погибших на боевом посту товарищей, возложили к их могилам венки, цветы.

По традиции в этот день многие руководящие работники министерства посетили семьи погибших сотрудников. В органах и подразделениях внутренних дел республики состоялось посвящение молодых сотрудников в бойцы правопорядка, было организовано торжественное принятие Присяги, вручение удостоверений и личного оружия.

**НА СНИМКЕ:** возложение венков к мемориальной доске с именами погибших сотрудников в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР.

## ტრაგედია მთაში

**აჭარის** მთიანეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთი ტკივილი მიაყენა თითოეულ ჩვენგანს. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ბათუმიდან ტელეფონით დაუკავშირდა ხულოს შს რაიგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორ თ. ქათამაძეს და სთხოვა მოეთხრო შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

— **19 აპრილს** დილის 7 საათზე ჩამოწვა ზვავის პირველი ნაკადი, რომელმაც მდინარე გადაკეტა, მაგრამ ერთ საათში მდინარემ თვითონ შეიცვალა გზა და გაარღვია ჩახერგვის შემდეგ წარმოქმნილი ჯებირი. ასე განმეორდა 3 საათზე. საბედისწერო გამოდგა 19 საათსა და 10 წუთზე ჩამოწოლილი მესამე ტალღა.

რაიონის ხელმძღვანელობა და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ, რომელიც რაიონული ცენტრიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული. გაირკვა, რომ ტრაგედიის შედეგად მიწაში ჩაიმარხა 5 ოჯახი, საფრთხე შეექმნა 7 ოჯახს, რამდენადაც მოხერხდა დადგენა, დადგენილია, რომ ზვავში მოყვა და დაიმარხა 22 მოქალაქე, მიღებული ტრამვების შედეგად 7 მოქალაქე მოთავსებული იქნა საავადმყოფოში, რომელთაგან 3 რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა, ჯერ კიდევ არ მოხერხდა ზვავში მოყოლილი რამოდენიმე მოქალაქის ვინაობის დადგენა.

19 აპრილს რაიონში შეიქმნა სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი. შევქმენით სადღეღამისო სამორიგეო პუნქტები.

შექმნილ სიტუაციაში მობილიზებული იყო განყოფილების მთელი პირადი შემადგენლობა. საკუთარი სიცოცხლისათვის საშიშ ადგილზე მუშაობდნენ უბნის ინსპექტორები: კაპიტანი ი. ბათნიძე, ლეიტენანტი მ. მახარაძე, ავტოინსპექტორები, სერჟანტები მ. ჭელიძე, დ. დეკანაძე და სხვები.

ხელფასიდან დანაზოგი თანხით თანამშრომლები დაეხმარნენ დაღუპულთა ოჯახებს, ვანუგეშებთ ჩვენს თანამშრომელს, უბნის ინსპექტორ თ. შაინიძეს, რომლის ბიძა პირადი ავტომანქანით ჩამარხა ზვავმა და დღემდე ვერ გვიპოვია.

ჩვენის მხრიდან მუშაობა კვლავ გრძელდება. ვიღებთ ყველა ზომებს მოსალოდნელი საფრთხისა და უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ესაუბრა **ა. მალაიანცი.**

* * *





**სურათებზე:** ჩამოწოლილი მთის კალთა; იწმინდება გადახერგილი მთავარი გზა.

РЕПЛИКА

## КОМУ ЭТО НА РУКУ?

**ПЕРЕДАННОЕ** 29 апреля информационной программой «Время» сообщение о том, что будто бы в Тбилиси имеют место оскорбления военнослужащих и членов их семей, что якобы камнями разбивают окна их квартир, угрожают женам и детям, вызвало искреннее возмущение в столице Грузии. 30 апреля республиканская грузинская газета «Комунисти» опубликовала реплику начальника городского управления внутренних дел Р. Гвенцадзе, опровергающую это заявление.

Ваш корреспондент обратился к министру внутренних дел Грузинской ССР Ш. Горгодзе с просьбой поподробнее прокомментировать сообщение, переданное во «Времени».

— Прямо скажу, — заметил Шота Варламович,—оно построено, мягко выражаясь, на неточных фактах. У нас в органах внутренних дел имеется всего 8 сообщений из штаба ЗакВО по поводу хулиганских действий в отношении военнослужащих, да и то, как показала тщательная проверка, проведенная созданной нами оперативно-следственной группой совместно с представителями Закавказского военного округа, уже установлено, что все это — чистейшей воды вымысел.

А что касается преследования семей военнослужащих, фактов нападения на их квартиры, то со всей ответственностью заявляю: мы не располагаем ни одной официальной жалобой такого рода. Когда до нас сегодня дошли слухи, будто бы в микрорайоне Тбилиси Ваназубани в квартирах военнослужащих, проживающих в 16-м и 17-м корпусах, были побиты стекла, по моему поручению на место прибыл мой заместитель В. И. Шадури вместе с представителями ЗакВО и общественности. Опросом жителей установлено, что такие факты не имели места.

Тяжелое горе переживает сегодня грузинский народ. Его чувство разделяет вся страна. И нечестно эту боль, горе усугублять разного рода вымыслами и домыслами, вредящими дружбе народов.

**Г. ЛЕБАНИДЗЕ,**
(корр. «Правды»).

**Данным материалом мы открываем на страницах нашей газеты новую рубрику: «Деловая анкета «БС», под которой периодически будут публиковаться информации руководящих работников служб и подразделений центрального аппарата министерства, ГОРОВД республики, отражающие ход перестройки стиля и методов работы в органах внутренних дел Грузии. Руководящие работники ОВД республики будут отвечать на следующие предложенные редакцией вопросы:**

**1. Что нового появилось в последнее время в работе руководимого Вами коллектива, какие положительные сдвиги Вы могли бы отметить в его работе?**

**2. Какие трудности и проблемы (объективного и субъективного характера) предстоит преодолеть для успешного решения задач перестройки стиля и методов работы?**

**3. Что нужно сделать для ускорения процесса перестройки и совершенствования работы на конкретных направлениях оперативно-служебной деятельности?**

**Сегодня на вопросы «Деловой анкеты «БС» отвечает начальник УВД Юго-Осетии полковник милиции Г. ИНДЖИЯ.**

ДЕЛОВАЯ АНКЕТА «БС»

# ПО ПУТИ ПЕРЕСТРОЙКИ

1. **СКАЗАТЬ,** что перестройка у нас, в органах внутренних дел Юго-Осетии идет полным ходом, пожалуй, рановато. Жестким требованием стало профессиональное, грамотное и, хочу подчеркнуть, заинтересованное отношение к своей работе.

По итогам прошлого года оперативная обстановка и результаты борьбы с преступностью в автономной области в целом могут быть признаны стабильными, с некоторой тенденцией к улучшению по ряду определяющих позиций.

Если в 1987 году одним из основных недостатков оперативной работы оставалась борьба с кражами личного имущества граждан, в том числе из квартир, то в прошлом году, хочется надеяться, здесь обеспечен перелом. Количество подобного рода преступлений уменьшилось наполовину, раскрыты все преступления, связанные с квартирными кражами, хотя, надо отметить, что ОВД автономной области пока не удалось создать четкую систему пресечения краж и подкрепить ее широким внедрением технических средств охраны.

Активизировала свою деятельность служба БХСС, значительно увеличилось выявление таких преступлений, как взяточничество, спекуляция, хищение госимущества в крупных размерах, обман покупателей.

Большое внимание уделялось вопросам гласности в работе ОВД, расширению и укреплению связей с населением, трудовыми коллективами. В 1988 году было проведено свыше 200 отчетов сотрудников перед населением. Сотрудники, пришедшие на службу в ОВД по рекомендации трудовых коллективов, отчитывались перед рекомендовавшими их коллективами.

В центре внимания руководства УВД Юго-Осетии оставалось решение кадровых вопросов. Складывается практика, когда кандидатуры на выдвижение предварительно обсуждаются на партсобраниях, где коммунисты горрайорганов и подразделений дают им рекомендации. Так, за 1988 год первичными парторганизациями рекомендованы на должности заместителя начальника Цхинвальского ГОВД майор милиции Р. Хубулов, начальника СВПЧ—30 г. Цхинвали — майор внутренней службы Ч. Букулов, заместителя начальника Знаурского РОВД — старший лейтенант милиции Л. Джиоев, старшего оперуполномоченного УР Знаурского РОВД старший лейтенант милиции Г. Гобозов.

2. **КОНЕЧНО,** не все идет гладко, так, как хотелось бы. Ломать сложившиеся в сознании и поступках людей стереотипы нелегко. Некоторым не хватает культуры в работе, умения контактировать с людьми, вести дискуссию, аргументированно убеждать собеседников. Цепочка, звеньями которой являются твердая идеологическая убежденность, прочная нравственная закалка, профессиональное мастерство, высокий культурный уровень, пока еще, к сожалению, не спаяна у нас воедино. Однако главное в том, что люди глубоко заинтересованы в успехе происходящих преобразований, а это значит, что все трудности будут преодолены. Тормозят перестройку в ОВД автономной области встречающаяся еще волокита при решении служебных вопросов, недисциплинированность некоторых сотрудников. Мы боремся с этими явлениями.

Руководство и политотдел УВД Юго-Осетии стараются поддержать хорошие начинания, нестандартный подход к делу, неуспокоенность в хорошем смысле этого слова.

3. **УСПЕШНОЕ** решение проблем борьбы с преступностью в решающей степени связано с дальнейшим повышением идейно-политического и морального уровня, профессиональной подготовленности сотрудников ОВД, правильным подбором и расстановкой кадров.

Особое внимание будет уделено профилактике преступлений, особенно со стороны несовершеннолетних. Организация и действенность системы профилактики и предупреждения преступлений еще отстают от требований дня.

Особая роль отводится патриотическому и интернациональному воспитанию личного состава, мы вводим в практику нашей работы тематические лекции и семинары по изучению ленинской национальной политики, стараемся воспитать у каждого сотрудника чувство органического единения со своим народом, его историей.

В фонд помощи пострадавшим от землетрясения в Армении сотрудники ОВД автономной области перечислили свой трехдневный заработок — более 8 тысяч рублей, фольклорный ансамбль УВД Юго-Осетии «Цард» принял участие в благотворительном концерте, вся выручка от которого была перечислена в фонд помощи пострадавшим от землетрясения.

Сейчас, когда партия взяла курс на формирование социалистического правового государства, сотрудники ОВД Юго-Осетии полны решимости приложить все силы для неукоснительного претворения его в жизнь, повышения авторитета милиции своим высоким профессионализмом, единством слова и дела.

# გახსენება

...**6 მაისს** 40 წელი შეუსრულდებოდა, როგორც ყოველთვის თანაკლასელები ესტუმრებოდნენ, გაიხსენებდნენ ბავშვობას, სიცილსა და ხუმრობაში გაატარებდნენ დროს... მაგრამ მეთვრამეტე წელია ჰამლეტ დათუაშვილის ამხანაგები მის საფლავთან იკრიბებიან და იხსენებენ ამ ვაჟკაცის მიერ პატიოსნებითა და სიმართლით განვლილ მოკლე ცხოვრების გზას... კალათბურთით იყო გატაცებული ტანმაღალი ახალგაზრდა, სიბეჯითითა და ალალმართლობით გამოირჩეოდა. იგი იურისტობაზე ოცნებობდა. პირველ წელს მისაღებ გამოცდებზე არ გაუმართლდა, მაგრამ უკან არ დაუხევია, მიზნის მისაღწევად მან მილიციის სამთვიანი კურსები დაამთავრა და ავტოინსპექციაში დაიწყო მუშაობა... იმ დღეს არ მორიგეობდა, როდესაც გაიგო, რომ გაჩიანის საგუშაგოზე მისი ამხანაგი ქ. გოგრიჭიანი მარტო იყო მასთან გაჩნდა.



უბედურება მოულოდნელად დაატყდათ თავს მილიციის მუშაკებს... იარაღის ხელში ჩასაგდებად ბოროტმოქმედებმა მუხანათურად გაწირეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდები. პირველივე გასროლით მოკლეს ქ. გოგრიჭიანი. ჰამლეტმა რაციით მოასწრო რამდენიმე სიტყვის გადაცემა, რაც გასროლის ხმამ ჩაახშო....

— ამ დღეებში ჰამლეტის მშობლებს ეწვივნენ სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი, გ. ჩოხელი და საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეული ქვედანაყოფის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი რ. არაბიძე, რომლებმაც დაათვალიერეს საოჯახო ალბომი, გაიხსენეს კარგი შვილისა და სამაგალითო მილიციის მუშაკის მოკლე, მაგრამ სისხლსავსე ცხოვრება.

ს. თათეიშვილი.



**ПАМЯТИ** погибших товарищей было посвящено траурное собрание, состоявшееся в Октябрьском РОВД, которое вступительным словом открыл заместитель начальника по политчасти майор милиции Т. Сабанадзе.

Выступившие на собрании заместитель начальника РОВД майор милиции Г. Кешелашвили, секретарь парторганизации майор милиции М. Лобжанидзе, начальник отделения уголовного розыска майор милиции Л. Чичуа рассказывали о жизнедеятельности погибших при исполнении служебных обязанностей сотрудников.

После встречи участники траурного собрания встретились с родными и близкими погибшего сотрудника старшего лейтенанта милиции А. Рагоева и возложили цветы на его могилу.

# ტრადიციულად იქცა

**29 აპრილს** რუსთავის შ/ს საქალაქო განყოფილების კოლექტივმა აღნიშნა დაღუპულ თანამშრომელთა ხსოვნის დღე. ადამიანურად ადვილი წარმოსადგენია და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძნელი ჩასაწვდომია ის განწყობილება, რომელიც ეუფლება დაღუპული კოლეგების ოჯახის წევრებს თავიანთი მამების, შვილების, ძმებისა და მეუღლეების თანამშრომლებთან შეხვედრის დროს, რაც ტრადიციად იქცა რუსთავის შს განყოფილების ცხოვრებაში, ასეთი ურთიერთობაც ალბათ უწყობს ხელს იმას, რომ დღეს კოლექტივში ბევრია ისეთი ახალგაზრდა თანამშრომელი, რომლებიც ორგანოში მოვიდნენ დაღუპული ახალგაზრდების დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. მაგ.: სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ძმის კვალს გაჰყვა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რიგითი ს. გუბიაშვილი, გარდაცვლილი მამის გზას აგრძელებს განყოფილების სამედიცინო გამოსაფხიზლებლის ქვეგანყოფილების სერჟანტი ნ. ოსველიშვილი და სხვ.

ვ. ლეჟავა,
რუსთავის შს საქალაქო განყოფილების პოლიტნაწილის უფროსი, მილიციის მაიორი.

**9 აპრილის ტრაგედიის გამოძახილი კვლავ ისმის მკითხველთა და ათასი სარედაქციო საფოსტო წერილებში, რომლებიც მოქალაქეები აგზავნიან რესპუბლიკის გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში. ბევრ წერილში ლაპარაკია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, ჩვენი გაზეთის რედაქცია. მკითხველები მადლობას უხდიან მილიციის მუშაკებს, ვის გარეშეც შეიძლება გაცილებით მეტი მსხვერპლი ყოფილიყო.**

**გთავაზობთ ამონაწერს ზოგიერთი წერილიდან.**

# მოსახლეობა მადლიერია

[illegible]

**ლ. როგავიძე, ხკპ წევრი, პენსიონერი.** — მე და ჩემი ქალიშვილი თუ დღეს ცოცხლები ვართ და ვსუნთქავთ ამ ჩვენი გაწამებული სამშობლოს ჰაერს, ეს მხოლოდ თქვენი თანამშრომლების დამსახურებაა. მე არასოდეს არ ვყოფილვარ მათ მიმართ გულგრილი, მაგრამ იმ ღამის შემდეგ ხომ სამუდამოდ ვიქნები მილიციელთა თაყვანისმცემელი. როგორ მინდა მათთან შეხვედრა, მადლობის თქმა, მაგრამ ვაი, რომ მათი სახეც არ მახსოვს...

**დ. ციციაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.** — მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მილიციის თანამშრომლებს... ჩემი და ალბათ ყველა ქართველის სურვილია თქვენი თანამშრომლების გამოჯანმრთელების შემდეგ შევკრიბოთ ისინი, მოვიწვიოთ თბილისის საზოგადოება და საშუალება მოგვცეთ გავიცნოთ ისინი, გადავუხადოთ მათ დიდი მადლობა. ყოველი მათგანი უეჭველად იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

**ა. შენგელია, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.** — ბატონო შოთა! მინდა გამოვხატო ჩემი და გაზეთ „ქუთაისის“ ყველა მუშაკის ღრმა პატივისცემა პირადად თქვენდამი და საქართველოს მილიციის იმ მუშაკებისადმი, რომლებიც უდიდესი განსაცდელის ჟამს ხალხთან ერთად იდგნენ და ხალხის წინაშე მდევ მოღერილ იარაღს თავის სხეულს აგებებდნენ, უმწეო ქალიშვილებსა და ქალებს იცავდნენ...

**თ. ჩახნაშვილი.** — მეც ვიყავი იქ ღამის 3 საათამდე. ერთ-ერთმა მილიციელმა მითხრა — დედა წადი სახლში, ცოდვა ხარ, დაისვენე. მეც დავუჯერე და გადავრჩი. ხანშიშესული ქალი დავრწმუნდი, რომ ჩვენი მილიცია ნამდვილად გვიცავს. არ გვჯეროდა, რომ ჩვენი გულისათვის თვითონ ჩაიგდებდნენ თავს საფრთხეში. დარწმუნებული ვარ, რომ არა მილიციელები გაცილებით მეტი ხალხი დაიღუპებოდა. დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ დაზარალებულებს.

**შ. ქაცარავა.** — ათასი მადლობა მილიციის მუშაკებს, რომლებმაც გადაარჩინეს ასობით ადამიანი. გულახდილად გეტყვით, აქამდე არც ისე დიდ პატივს ვცემდი მილიციას, მაგრამ ახლა 72 წლის კაცი თაყვანს ვცემ მათ, ვინც თავი არ დაზოგა ხალხის გადასარჩენად.

**წერილში რომელსაც ხელს აწერენ თბილისელი ახალგაზრდები და მათი მშობლები ვკითხულობთ:** — თქვენ ყველაფერი ილონეთ ჩვენი გადარჩენისათვის. უიარაღონი კედელივით გვედექით და გვიცავდით ახალგაზრდობას, დაბნეულებს მოულოდნელობისაგან გზას გვიჩვენებდით... დიდი მადლობა ჩვენო ძმებო, მილიციის მუშაკებო. თქვენ ისეთი რამ გვიჩვენეთ, რომ გულახდილად რომ გითხრათ არ გვეგონა თუ თავგანწირვაზე წახვიდოდით იმ სისხლისღვრაში. კიდევ და კიდევ ჯანმრთელობა თქვენ. შოთა გორგოძეს ულრმესი მადლობა. ბატონო შოთა, იცოცხლეთ სიკეთისათვის, ბედნიერებისათვის და ჩვენთვის, ჩვენ კი ამიერიდან ასე ვიტყვით „ჩვენ გვიცავენ ჩვენი სასიქადულო ვაჟკაცები, ჩვენი მილიცია“.

**საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით თ. ხიგუაწერს:** — ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც ამ საბედისწერო წუთებში გამოიჩინეს მამულიშვილობა და უიარაღონი გადაეფარნენ მოზარდებსა და ქალებს.

# წმინდა ვალი მოიხადეს

**დიდი** იყო შს ორგანოების თანამშრომელთა წვლილი ფაშიზმის „ხაკისფერ ჭირზე" გამარჯვებაში. მილიციის თანამშრომლები ფრონტის წინა ხაზზე თუ ზურგში, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა გაემარჯვა მშვიდობასა და სიმართლეს.

მათ თავიანთი წმინდა ვალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადეს. ბევრი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ მათი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩა ჩვენს გულებში, მრავალი კი დღესაც ცხოვრების ფერხულშია და მუხლჩაუხრელად შრომობს. აი იმ სახელოვან ვეტერანთა მცირე ნაწილი, რომლებიც დღეს შს სამინისტროს სისტემაში მუშაობენ: ა. სხილაძე, პ. გოგოლაძე, ვ. სუხბინდერი, რ. დეკაბრაშვილი, თ. ვორონოვა, ა. ივანიშვილი, ა. შონია, ტ. სერებრიაკოვა და სხვანი.

**ძვირფასო ვეტერანებო!**

საქართველოს სსრ შს სამინისტროს ვეტერანთა საბჭოს სახელით, გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 44-ე წლისთავს.

საბჭოთა ხალხის მამაცობა ფრონტსა და ზურგში სამარადჟამოდ დარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში. შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები არასდროს დაივიწყებენ ფრონტზე მილიციის თანამშრომელთა სახელოვან გამარჯვებას, თავს ვხრით დაღუპულთა წმინდა ხსოვნის წინაშე.

ჩვენი კოლეგების სახელოვანი საქმეები დღესაც მოქმედებაშია, მათგან სწავლობენ, მათი ღრმად სჯერათ.

გისურვებთ ძვირფასო მეგობრებო დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შრომით წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ვეტერანთა საბჭოს სახელით**
**რ. ნიკოლაიშვილი**

## К ДНЮ ПОБЕДЫ

# ПАМЯТЬ ТЕХ ОГНЕННЫХ ЛЕТ

**В СОРОК** четвертый раз отметят на днях славную дату Великой Победы над фашизмом все советские люди. Сорок четыре года минуло после окончания самой жестокой и кровопролитной войны в истории человечества, но память о беспримерном подвиге советского народа, спасшего мир от коричневой чумы фашизма, живет в сознании миллионов и миллионов людей.

Многие участники войны, не расстались с формой и после ее окончания, пополнили ряды органов внутренних дел республики. Среди них — ныне старший экономист финансово-планового отдела УПО МВД ГССР подполковник в отставке Василий Александрович Элбакидзе.

Есть что вспомнить, что рассказать ветерану во время традиционно устраиваемых в День Победы встреч с молодыми сотрудниками ОВД республики. И о том, как совсем еще молодым пареньком начал он работу в одном из старейших предприятий Тбилиси, настоящей кузнице кадров — паровозо-вагонноремонтном заводе им. И. В. Сталина, и о том, как в суровые годы войны вместе с миллионами своих сверстников, не раздумывая, пошел на фронт защищать свою Родину от захватчиков.

Боевое крещение он принял в 1943 году в боях под Ржевом. Служил связистом, воюя в составе войск II и III белорусских фронтов, участвовал в операции «Багратион», уничтожении окруженной под Минском вражеской группировки, взятии Кенигсберга. Помнит Василий Александрович и бессонные ночи, и изматывающие 70-километровые марш-броски, и тяжелые бои, в которых приходилось пренебрегать смертельной опасностью ради выполнения боевой задачи. Помнит он и тот бой у деревни Поповка, когда ему было дано задание передать роте, изготовившейся к атаке на господствовавшую над местностью высоту, приказ к наступлению. Связи с подразделением не было, все пространство вокруг него простреливалось ураганным огнем, но Василий Александрович, проявив завидное бесстрашие и самообладание, сумел доставить приказ вовремя. А сколько потом было подобных же смертельно опасных эпизодов, боевых задач, которые он также выполнял с честью.

«Наверное одним из главных факторов, позволивших нам выстоять и победить в той жестокой войне, была непоколебимая вера в правоту своего дела всех советских людей, всех народов нашей страны, как один поднявшихся на защиту первого в мире социалистического государства, — говорит, вспоминая те грозные годы, Василий Александрович, — не просто военная, а больше нравственная победа была одержана советскими людьми, доказавшими свое моральное превосходство над человеконенавистническими идеями фашизма».



С особой теплотой вспоминает Василий Александрович своих боевых товарищей, однополчан, деливших с ним все тяготы солдатской службы. Со многими из них, как например, с жителями Тбилиси Георгием Метревели и Андро Егиазаровым и сейчас поддерживает тесные дружеские отношения, всегда рад встрече с ними. А разве может он забыть ту русскую женщину - телефонистку, которая перевязала его после тяжелого ранения в ногу, помогла сесть на телегу, вывезла в безопасное место. Ведь и помочь ему кроме нее в этот момент было некому — подразделение уходило с боями вперед...

После войны Василий Александрович окончил экономический техникум, около трех десятков лет работал в ОВД республики в системе пожарной охраны и на всех должностях — от казначея-счетовода до заместителя начальника ФПО УПО МВД ГССР проявлял добросовестность, ответственное отношение к порученному делу. Параллельно с работой окончил заочно экономический институт. Его боевой и трудовой путь отмечен многими медалями за мужество, проявленное на фронтах Великой Отечественной войны, медалями всех трех степеней «За безупречную службу в МВД», почетным званием «Ветеран труда», другими наградами.

Его любовь и преданность к избранному делу передалась и членам его семьи — жена Лия Николаевна также многие годы работала в системе пожарной охраны, по стопам отца пошли и сыновья — начальник группы кадров ТФМВШМ МВД СССР майор милиции Реваз Элбакидзе и сотрудник одного из подразделений МВД СССР капитан внутренней службы Элизбар Элбакидзе.

Бег времени неумолим, и Василий Александрович стал пенсионером, но несмотря на то, что частенько беспокоит сердце, не оставляет любимой работы, трудится также добросовестно и целеустремленно, как и прежде. А самую большую радость доставляют ему четыре его внука, которым он уделяет все свое свободное время.

Такая вот, простая и славная у этого человека биография, как в капле воды отразившая судьбу целого поколения советских людей, отстоявших мир на земле. Крепкого здоровья и счастья Вам на долгие годы, Василий Александрович, и пусть внуки ваши только из рассказов своего деда знают, что такое война.

**А. ЦАТУРОВ.**

# ...და ისევ ჰუმანური აქტი

**ამ** დღეებში შრომა-გასწორების დაწესებულებების № 123/12-ში საზეიმო ატმოსფერო სუფევდა. როგორც ცნობილია აქაური კონტინგენტი ქალებისგან შედგება. იმ დღეს გარკვეული რეგლამენტით მიმდინარეობდა საზეიმო ცერემონიალი. ვადაზე ადრე ათავისუფლებდნენ გარკვეულ ნაწილს იმ ქალებისა, რომლებმაც თავიანთი შრომით ისახელეს თავი და დაიმსახურეს მიმაგრებული ვადის შემცირება.

დაწესებულებაში სტუმრად მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები შს მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი თ. ეპიტაშვილი, გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი ნ. მოსიაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი მ. დარჩია და სხვა ამხანაგები.

ყოფილმა მსჯავრდადებულებმა, რომლებმაც შრომაში ისახელეს თავი, აღუთქვეს დამსწრეებს რომ მათ შეიგნეს ჩადენილი დანაშაული და ყველაფერს გააკეთებენ, რომ შემდგომში თავი ისახელონ პატიოსანი შრომით.

იმავე დღეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გასვლითი სხდომა ჩატარდა ზემო ავჭალის ბავშვთა შრომა-აღმზრდელობით დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა ვადაზე ადრე განთავისუფლების შესახებ. ახალგაზრდები კოლონიიდან განთავისუფლდნენ სამაგალითო შრომისა და ყოფაქცევისათვის. განთავისუფლდა 16 მოზარდი. სხდომა გახსნა მ. დარჩიამ. მსჯავრდადებულებს სიტყვით მიმართეს და განთავისუფლება მიულოცეს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში, შ/ს პოდპოლკოვნიკმა ს. ხარაბაძემ, რესპუბლიკის ბავშვთა დაცვის ფონდის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. აგუსტიამ. სიტყვა წარმოთქვა ცხაკაიას შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა ა. ბესელიამ რომელმაც აღუთქვა დამსწრეებს, არასრულწლოვნები, რომლებიც განთავისუფლდნენ ვადაზე ადრე და ტერიტორიულად ცხოვრობენ მის რაიონში განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან, ამასთანავე მათ ყოველგვარი დახმარება გაეწევათ მომავალ შრომით საქმიანობაში.

**გ. მგალობლიშვილი.**




* * *

**სურათზე:** ვადაზე ადრე განთავისუფლებული ქალები, შს სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად საზეიმო შეკრების დამთავრების შემდეგ.

**ავტორის ფოტო**

# ნარკომანები მახეში

**1988 წლის** 15 დეკემბერს დილის 5 საათზე დაბა სურამში დააკავეს კრასნოდარის მხარის გელენჯიკის რაიონის მცხოვრები ადრე ხულიგნობისათვის ნასამართლევი რიფატ ლუმანოვი და მისი თანამემამულე, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის ადრე ნასამართლევი იგორ ჩერნოვი. მათ ჩერნოვის კუთვნილი ავტომანქანით ხაშურის რაიონში სარეალიზაციოდ ჩამოიტანეს 3,600 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება „კოკნარი". დაკავებისა და ჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ წამლის გასახსნელი სითხე და „შპრიცი" თავისი მოწყობილობით. აღნიშნული პირები შემოწმების დროს აღმოჩნდნენ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში.

ოპერატიულმა ჯგუფმა განყოფილების უფროსის მოადგილის თ. გიკაშვილის ხელმძღვანელობით, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის მ. ჩხეიძის, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორის ა. ბიწაძის, სახავტოინსპექციის ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორის თ. ლომიძის, უბნის ინსპექტორის შ. ტაბატაძის და ხაშურის მოტომექანიზირებული ქვედანაყოფის უფროსი ინსპექტორის მ. ხაჩიძის მონაწილეობით დამნაშავენი ადგილზე იქნენ დაკავებულნი.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ რ. ლუმანოვს და ი. ჩერნოვს შესაბამისად მიუსაჯა 11 და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით.

გამოჩენილი ოპერატიულობისა და საზრიანობისათვის ოპერატიული ჯგუფის წევრები წახალისებული იქნენ განყოფილების უფროსის ბრძანებით.

**ო. ხადუნელი,**
ხაშურის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი.

## ВОЗВРАЩАЯСЬ К НАПЕЧАТАННОМУ

# ПРОЯВЛЯТЬ ДОЛЖНУЮ ОТВЕТСТВЕННОСТЬ

**ВСЕ БОЛЕЕ** широкое применение находят в органах внутренних дел республики диктуемые временем, необходимостью перестройки стиля и методов работы демократические процедуры, такие, например, как назначения сотрудников на вакантные должности с учетом мнения их коллектива. Дело это сравнительно новое, и пока, к сожалению, не обходится без досадных накладок, особенно в тех случаях, когда к нему относятся без должной ответственности.

25 февраля нынешнего года на страницах нашей газеты под заголовком «Мнение коллектива» было опубликовано поступившее в редакцию письмо секретаря парторганизации Очамчирского РОВД оперуполномоченного БХСС капитана милиции В. Шевченко, в котором рассказывалось о прошедших на собрании коллектива райотдела выборах кандидата на вакантную должность начальника паспортной службы. Автор письма подробно описал ход выборов, в частности, выступления каждого из трех кандидатов со своей программой, процедуру тайного голосования, подсчета голосов и т. д. Казалось бы все прекрасно, выборы проведены в полном соответствии с предъявляемыми на сегодняшний день требованиями. Однако как показало дальнейшее, в письме, как и в самой процедуре выборов был допущен ряд серьезных ошибок.

Спустя некоторое время после опубликования данного материала, в редакцию пришло второе письмо из того же райотдела, от одного из трех выдвинутых на том собрании кандидатов — старшего участкового инспектора по делам несовершеннолетних Очамчирского РОВД майора милиции Я. Ласурия. В нем автор отмечает, что в ходе выборов были нарушены принципы демократии и гласности, в частности, не были приглашены на собрание рядовой и сержантский составы, сам лично он свою кандидатуру на вакантную должность не выдвигал, о собрании проинформирован не был и, соответственно, на нем не присутствовал. Опровергался в письме и факт выступлений кандидатов со своей программой действий.

С просьбой помочь разобраться в сложившейся ситуации мы обратились в политический отдел МВД Абхазской АССР. На днях редакцией получено письмо начальника политотдела МВД автономной республики полковника милиции Э. Минасяна, в котором, в частности, говорится, что «как показала проверка, заявление т. Я. Ласурия соответствует действительности. Результаты голосования признаны недействительными, т. Я. Ласурия принесены извинения, а с т. В. Шевченко, который ввел в заблуждение редакцию газеты «Боевой страж», проведена соответствующая беседа».

Этот факт еще раз наглядно показывает, как важно четко соблюдать демократические принципы, особенно в таком деле, как выборы, во избежание взаимных обид и недоразумений.

**А. ЛОМИДЗЕ.**

# 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

**მეხუთე** წელია საჯაროობის პირობებში ხვდებიან ბეჭდვითი სიტყვის დღეს პრესის მუშაკები. სულ უფრო კლებულობს აკრძალული თემების რაოდენობა, რომელთა შესახებ ადრე ვიწრო წრეშიც ლაპარაკი მიუღებელი იყო. მაგრამ ზოგიერთი კოლეგა ძველებურად აზროვნებს, ნახევრადსიმართლეს სჯერდება. დღეს ხალხს სრული სიმართლე სჭირდება, რომელიც სამწუხაროდ ძნელად იკვლევს გზას. არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტექნიკური აღჭურვილობაა სათანადო დონეზე. მაგრამ ჩვენი კოლეგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ სინამდვილის ცხოვრებისეულ ასახვას.



სურათზე: ალბეჭდილი არიან საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სტამბის დირექტორი ბ. კიზირია, მბეჭდავი მ. ოქრომჭედლიძე და მიმღები ე. ფრიდონაშვილი.

ბ. ბურამიშვილის ფოტო.

# ИМЯ РУДОЛЬФА АБЕЛЯ

**ИМЯ РУДОЛЬФА АБЕЛЯ** широко известно в нашей стране и за рубежом.

В 1927 г. Р. Абель был рекомендован комсомолом на работу в органах ВЧК—КГБ. На первый взгляд Абель был малопригодным для этой сложной и трудной профессии. Он производил впечатление робкого и застенчивого.

Много позже, имея за плечами богатый и разнообразный опыт работы в органах безопасности, Абель в беседе с советскими журналистами скажет, что чекист, по его твердому убеждению, должен сочетать уверенность в себе со скромностью, быть выдержанным и уравновешенным, дисциплинированным, беспредельно преданным Родине, своему служебному долгу, уметь преодолевать страх при выполнении задания, связанного со значительным риском. Без этих качеств невозможно стать высоким профессионалом.

Рудольф Абель родился в 1903 г. в приволжском городке в семье рабочего-металлиста, старого революционера - подпольщика.

В последующем семья Абелей переехала в Москву.

Во время учебы в школе проявились многогранные способности Рудольфа Абеля: природная память, лингвистические наклонности. Он хорошо знал немецкий, французский и английский языки.

В 1922 г. он вступил в комсомол. Это было время острой борьбы партии с троцкистами за влияние на молодежь. Абель активно участвует в борьбе комсомольской ячейки против троцкистов, получает первые уроки политической зрелости.

В 1925—1926 гг. Абель служил в радиочастях РККА. Служба была нелегкой, она закалила его, научила преодолевать трудности.

По образованию радиоинженер, Абель до зачисления на службу в органы ВЧК — КГБ работал чертежником, инженером, переводчиком.

Р. Абель был всесторонне развитой личностью. Для него не существовало дилеммы: физики или лирики. Он был сразу и тем, и другим. Абель занимался графикой, живописью. Он тонко чувствовал классическую и народную музыку, играл на гитаре. Был фотографом и умел столярничать.

В мае 1927 г. Абель стал чекистом. Вначале упорная, настойчивая учеба. Овладевать новой и непростой специальностью помогали старые чекисты, участники революции и гражданской войны, соратники Ф. Э. Дзержинского. У них Абель перенимал умение ориентироваться в сложной обстановке, быть бдительным, соблюдать правила конспирации. Учился упорству, кропотливому, повседневному труду.

В годы Великой Отечественной войны Абель участвует в операциях чекистов по проникновению в фашистский тыл, в центры абвера, готовившие шпионов и диверсантов для заброски на советскую территорию. Немало фашистских агентов и их пособников было выявлено при непосредственном участии Абеля.

Окончилась вторая мировая война. В Фултоне прозвучала речь бывшего премьер-министра Великобритании У. Черчилля, наметившего новую стратегию на международной арене.

Рудольф Абель внес предложение своему руководству направить его за границу, где теперь укрылись фашистские преступники и их агенты. Предстояло выяснить, каковы были их намерения и планы, чем они конкретно занимались, какую вели подрывную деятельность против СССР, кто и как их в этом поддерживал. Необходимо было разобраться в новых методах противника, найти способы их обезвреживания и пресечения. С этой целью он въехал в 1948 г. в США. В течение ряда лет он регулярно докладывал в Центр информацию по важным вопросам. В книге «Незнакомцы на мосту» Д. Донован, выступавший адвокатом по делу Абеля, позднее писал: «Мы видим очень смелого патриота, который служил своей стране, выполняя исключительно рискованные военные задания».

# ЧЕЛОВЕК ИЗ ЛЕГЕНДЫ

21 июня 1957 г. Абель был арестован в номере нью-йоркской гостиницы в результате гнусного предательства. Оказавшись в критической ситуации и чрезвычайно сложном положении, он, однако, не растерялся и повел неравный бой с сотрудниками ФБР и ЦРУ. Последние сутками беспрерывно допрашивали его, оказывая давление на психику, требуя, чтобы он рассказал о задании, назвал имена помощников, признал бы вину в ведении шпионажа. Ему то обещали 10 тыс. долл. в год и высокое служебное положение в случае согласия на предлагаемое сотрудничество, то грозили тяжелой карой и смертью на электрическом стуле. Это не были пустые слова. Арест Абеля был проведен негласно, и с ним могли сделать, что угодно.

Абель стойко перенес все испытания и не признал себя виновным.

15 ноября 1957 г. Абель был приговорен к 30 годам тюремного заключения. И в тюрьме он оставался целеустремленным, бодрым, подтянутым человеком. Перенести выпавшие на его долю испытания Абелю помогло, по его словам, то, что вдали от Родины он не чувствовал себя одиноким и был уверен, что Отчизна сделает все возможное, чтобы помочь ему. Кроме того, увлечения Абеля облегчили ему пребывание в тюрьме. Он рисовал, мастерил из дерева поделки, занимался математическими исследованиями.

Родина не оставила Абеля в беде. 10 апреля 1962 г. на мосту Глинникер-Брюкке, соединяющем столицу ГДР с Западным Берлином, близ Потсдама, был осуществлен обмен Абеля на осужденного Военной коллегией Верховного Суда СССР в 1960 г. к 10 годам лишения свободы американского летчика-шпиона Гарри Пауэрса.

Рудольф Иванович Абель скончался в 1971 г. после почти 45 лет безупречного выполнения сложных задач по обеспечению безопасности Советского Союза на различных участках чекистской службы.

Член КПСС с 1931 г., почетный сотрудник органов ВЧК — КГБ Абель за образцовое выполнение заданий и проявленное при этом мужество был награжден орденом Ленина, тремя орденами Красного Знамени, двумя орденами Трудового Красного Знамени, орденом Красной Звезды и многими медалями.

В этом году ему исполнилось бы 86 лет.

**В. БОЖЕНКОВ.**

# შაბათობაზე

**22 აპრილს** ვ. ი. ლენინის დაბადების 119 წლისთავისადმი მიძღვნილ ლენინურ შაბათობაზე ქ. ქუთაისის შს სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით თანამშრომლებმა დახმარება გაუწიეს ქალაქის ბავშვთა დაწესებულებებს, სკოლა-ინტერნატებსა და უპატრონო ბავშვთა სახლს. ტექნიკის გამოყენებით მათი მიმდებარე ტერიტორიები განთავისუფლებული იქნა სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენებისაგან, შეიღება და კეთილმოეწყო შენობები. დაწესებულებებს გადასცეს აუცილებელი ინვენტარი.

შაბათობა მოეწყო შს სამმართველოს ყველა დანაყოფში, დასუფთავდა და მოწესრიგდა შენობები, ტერიტორია, განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო სახავტოინსპექციის შენობასთან, რომელიც კაპიტალური შეკეთების პროცესში იმყოფება, მთლიანად მოსუფთავდა შენობის ტერიტორია.

კარგად იშრომეს შს სამმართველოს ცენტრალური აპარატის, შს ლენინისა და ავტოქარხნის რაიგანყოფილებებში, არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში.

**დ. ცაავა,**

**ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტიკური ნაწილის უფროსი ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.**





# ДИНАМОВЦЫ НА КОРТАХ БАТУМИ

**НА ДНЯХ на кортах Батумского приморского парка завершился открытый чемпионат Аджарской АССР на призы Совета Министров автономной республики, в котором вместе с хозяевами соревнований приняли участие теннисисты из Москвы, Киева, Еревана, Тбилиси.**

**Успешно выступили на чемпионате тбилисские динамовцы, занявшие несколько призовых мест. Победителем турнира в парном разряде вместе с мастером спорта Д. Тертеряном (СДЮШОР Тбилисского управления народного образования) стал представитель общества «Динамо» Давид Кварацхелия. Динамовки Эка Бокучава и Эка Тохадзе победили в женском парном разряде. В мужском одиночном разряде серебряную награду завоевал Д. Кварацхелия, в женском одиночном разряде второе место заняла Э. Бокучава.**

**А победителями турнира среди женщин стали мастер спорта международного класса Лариса Овсепян из Еревана, среди мужчин — воспитанник специализированной детско - юношеской школы олимпийского резерва Тбилисского управления народного образования Александр Симонян.**

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

—ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП—

## МАФИОЗИ НАСТУПАЮТ

**ПЕЧАТЬ США сообщает, что в настоящее время доходы американской мафии составляют, по различным оценкам, от 50 до 100 миллионов долларов. По оценкам ФБР, в стране насчитывается около 2.000 главарей мафиози. У многих из них доходы превышают 200 тысяч ежегодно, а у некоторых — в несколько раз больше. Подручных главарей группировок насчитывается приблизительно около четверти миллиона. Только за последние шесть лет за получение взяток от мафиози были привлечены к уголовной ответственности около тысячи судей и полицейских.**

საზრიანთა კლუბი

# გამოგვიგზავნეს სწორი პასუხები

**გთავაზობთ** ჩვენი გაზეთის 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებული დეტექტიური ჩანახატის „განძი ტყეში" სწორ პასუხს:

— დღეში მიდიოდა 3 კმ-ს წინ და 2 კმ-ს უკან, ე. ი. თითო დღეში თითო კმ-ს. ოც დღეში გაივლიდა 20 კმ-ს. ოცდამეერთე დღეს, როდესაც წინ 3 კმ-ს გაივლიდა იქვე ნახავდა განძს და უკან 2 კმ-ს გავლა აღარ დასჭირდებოდა.

აი მკითხველების სია, რომლებმაც სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს: ბორჯომის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი ნ. კაპანაძე, ფოთის დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ინსპექტორი, შ/ს ლეიტენანტი ბ. მაკალათია, ტყიბულის შს საქალაქო განყოფილების ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. ივანეიშვილი, ჭიათურის არასაუწყებო დაცვის თანამშრომლები: მილიციის ლეიტენანტი ა. ცერცვაძე და რიგითი რ. ბიწაძე, ონის შს რაიგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. გუგეშაშვილი, გორის შს საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე უ. კურმაშვილი, საბჭოთა და პარტიული ორგანოების დაცვის განყოფილების მილიციელი დ. მინდიაშვილი, ოქტომბრის შს რაიგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე ნ. ზაქაშვილი, ზუგდიდის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი ნ. ჯანაშია, ხაშურის შს რაიგანყოფილების მომკვლევი, მილიციის მაიორი გ. ბარბაქაძე, კალინინის რაიონის სახანძრო ნაწილის მეხანძრე ზ. გელაშვილი, მარნეულის რაიონის ლომთაგორის მეცხვარეობის საცდელი მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი მ. ყაჭიაშვილი, ქარხანა „საქსოფლმანქანათმშენის" მუშა მ. გიგანი, გორელი მოსწავლე ს. ღალაქიშვილი, დუშელი დაძმა გოგოჭურები.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00264

რედაქტორი ა. კოჩალაძე